

შეუძლებელია თავისი თავი, რომ მისდა სავსე-ბედად გლენ-კაცობა თავისი მოძველები არ დაინდოს. ავტორის ისიც ვერ გაუგია, რომ, თუ დედა-ბერი გაჯიუტებული და ჰეგელისადავანად ყოფნა ურჩევია, ვიდრე შეიღობილად წავსდეს, ეს ამბავი ჰეგელისთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ავტორისთვის. ავტორს ეს ამბავი, რომ გლენ-კაცობის ვითარება ამ დედა-ბერის შვილისთვის სახიფათოა, ვინაიდან ავტორისთვის უფრო მოსაწყობია, ვიდრე საბუთს „ბოიკოტის“ ასე თუ ისე გაძლიერების ჩვენს სამარცხენოდ. ამა ამას ჰკუთვნება არ უნდა, რომ კაცი ამაყად ტყუილს იგონებდეს და ამ ტყუილით თვითონვე თავისი ხელით ყველს იჭრის. კიდევ ვიტყვი: არა შე-ჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

ამერიკის მადლით და გლენთან სასარგებლოდ, ეს სახლის გადაწყვეტილება, ეს საშინელი და ყოველად შეუძლებელი ავტორისაგან მოგონილი ტყუილია და გლენთან რას ემართლება, რომ ასე სახელს უტყვავს, ასეთს ბრალში ჰხვეს.

ასე თუ ისე, გლენ-კაცობა დღეს ყველას შე-მოსწყრა და მართალი და მტყუანი, ავი და კარ-გი თან გაიტანა. ეს სტიქიონურ მოძრაობასა ჰგავს და ამიტომაც საერთოდ შემოწყობა და „ბოიკოტობა“ იმის მიხედვით არ არის, ვინ ვის უყვარს, ვინ ვისა სძულს მთელისა და სიყვარული ამისთანა შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ამიტომაც საზოგადოება, რომელსაც ჰკუთვნება გონება შერჩენა და ცნობიერება გააღვიძე-ბა, მარტო იმას კი არ უნდა სჯერდებოდეს, — აი გლენობა სხვასთან ერთად ამასაც შეგოსწყრა, ამას „ბოიკოტობა“ გამოუცხადა, არამედ გულდამწვდებელი გარჩევა უნდა, — ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისზე სა-მართლიანად ხელს იწვევს. განა კაცთა ადამიან-ური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოველთ ურჩიარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მო-იქიბება, ამავდროს პასუხი არ იქნება!

ამიტომაც მკითხველსა ვთხოვ ნება მიბოძოს მოგახსენო იგი ვითარება საქმისა, იგი გარემოე-ბა, რომელიც ასე თუ ისე ამ მხრივ შეუქა ჰქონს კორესპონდენტის მიერ სხენებულს „ბოიკოტს“ ჩემდა მამართ.

მე და ჩემი მეუღლე მემამულენი ვართ. არც მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყმები, არც ერთი ხიზანი არა გვყავს არამც თუ საგუ-რამის, არამედ მთელს დედა-მისის ზურგზე. მარ-თალია, მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განათვისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მათი მხვედრი გენსები უსასყიდლოდ დაეუბნე და ხელშეუბ-ლებელ საკუთრებად დაეუბნე და ამით მოე-სვე ყოველივე ბატონ-ყმური ნაწილი ჩემსა და ჩემთა ნაყმეთა შორის. ხიზნებაცა მყავდა თიანეთის მაზრაში. ხიზნი შემოგვებდა მათ მიერ ხმა-რებულ მამულს და მე მარტო მაშინ მივიყიდე, რო-ცა ჩემი ხიზნები სხვა, მათ მიერ არჩეულ და მო-წონებულ სახელმწიფო მამულში გადავიყიდე და დავაბინავე, თ. ლევან ჯანდიერის შემწევობით, რომელიც მაშინ მაზრის უფროსად იყო. ჩემმა მეუღლემაც გაყოფის დროს ისე გამოიწილა და მიწაწილეთვან მამული, რომ არცერთი ხიზანი, არც ერთი ნაყმები არ ირგუნა.

ამ სახით ჩვენ ორს რაც მამულები გვაქვს, სულ თავისუფალი და დამოუკიდებელია სხვისა-გან. მაშასადამე, მამულის გამო ჩვენ ვერა კაცი ვერც ნაყმებით, ვერც ხიზნებით ვერას წა-გვედავება, ვერას დაგვემურება, თუ სადმე გან-კითხვა და სამართალია.

მართლაც, რა სიმართლე, რა საბუთი აქვს გლენ-კაცს, რომელიც არც ხიზანი თქვენს, არც ნაყმები, რომ თქვენს მამულზე ხელი გაიწოდოს მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვეყნობდად უდევს არამც თუ მთელს სახელ-მწიფურს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვე-ყნებისას მთელ დედა-მისის ზურგზე.

და თუ გლენ-კაცობა დღეს თავისას მაინც და მაინც არ იშლის და კერძო საკუთრებას ხელს ატანს, ეს ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელია იმით კი არა, რომ სამართალი რომ მიუძღოდეთ, არამედ იმით, რომ დღევანდელი მოძრაობა სოფ-ლისა ცეცხლსავით მოეღო მთელს საქართველოს და ყველა ნებით თუ უნებლიეთ თან წაიყოლია.

აქედამ ის არ გამოდის, რომ კაცმა დიდის მწუხარებით არ შეხედოს იმისთანა ამბავს, როცა კაცს სხვა საბუთი არ მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წაგვართვას და მე მომეერთვასო. ამა უკო-ნდურეს სილატკიანდ უდიდეს სიმდიდრემდე რამ-დენი საფეხურია, რამდენი კბევა, რამდენი ერთმანეთზე მეტია და მოდი და ვაარჩიეთ, რო-მელმა რომელი უნდა სწყეროს და ჰგლიჯოს მთელ ამ დიდს მანძილზე.

კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართ-ლოდ, ჩვენსა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ

ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე ძალ-მომარობა, ერთმანეთზე მი-სვე ვინც ვინც იყოს იაფად არ დაუჯდება.

იქნება მე ვცდებოდე, მაგრამ ამაზე კი იმე-ლია ყველა დამეთანხმება, რომ ეს დღევანდელი ამბავი დიდ მიზეზიანია საგანია, დიდად გასაფხიზ-ლებელი, დიდ ფაქტორიანი. აქ საქმე იმაში კი არ არის ვინ უფრო შორს გადახტება. ამ დღე-ვანდელს ამბავს დიდს გულდადებით და ღრმად უნდა ჩაუკვირდეს ადამიანი, მთელი სიგჳე-სიგანე გაუზომოს, თავით ბოლომდე თვალწინ დაიყუ-ნოს.

ეს დიდ პასუხის გების საგანია და ამ პასუხის გების შიშ ქვეშ თვით გლენ-კაცობის წინაშე, დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუ-ნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ცხე-სიძვარე ჩვენ-ნი ჩვენვე შიგნიდან გავტყუოთ, ამას თხოულობს არამც თუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყ-ნისა საერთოდ, არამედ გლენ-კაცობისაც საკუთ-რივ.

III

ბოლოს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ასე გაავაქიანურე ჩემი პასუხი და აქამომდე, სწორედ რომ ვთქვა, არსებითად საპასუხო თითქმის არა ვთქვი. რა ვქნა? დღევანდელი დღე ისეთი ცეცხლ-მოსაკიდებელი რამ არის, რომ ძნელია კაცმა თავი დაიჭიროს და მისს ამბავს გვერდი აუაროს, რაკი სიტყვა მოიტანს. ეგ ხომ ვერაო, მიბრძანებთ, მაგრამ ჩვენ პასუხი მაინც გვინდა და გვინდაო. გნებავთ და აი მეც უნდა ვარ.

შევეუდგები რა ამ ფრიად უსიამოვნო ამბავს, ყოველ უწინარეს ვთხოვთ ყურადღება მიუქიოთ მას, რომ ჩემი კეთილის მყოფელი ავტორი ოთხს ბრალსა მდებს, რომელთა შორის ერთი თითქმის კაცის კვლავა.

ერთი დანაშაული ჩემი თურმე ისა ყოფილა, რომ ერთს „ახალ სოფელს“ გლენს უამბნია, ვითომც ჩემს კალოზე „სხანაღლა“ ყანის ძნა მოუტანია მაშინ კი არა, როცა ჩემს მოურავს დაუვალდებია, არამედ მეორე დილას აღრიანად და მე „შუგერის“ სიტყვით ღმრთობა დამიწვეია და, რა თქმა უნდა, ჰქვილი-ყვირით მითქვამს: „ეხლავე ეგ ძნა იქვე ჩაიტანე, სადაც დაუდეს, როცა მოურავს დრო ექნება, ჩამოვა, ახლად გად-მოითვლის და გაჰყოფსო“. გლენ-კაცსა ძნა ისევე „სხანადლო“ მიწაში ჩაუტანია.

მართალია, მე და ჩემს მეუღლეს საგურამოს მამულებში წლით გვიღვებს, მაგრამ „ახალსო-ფელში“ — კი არც ერთი მტკაველი მიწა არ გავ-გვანია. იგი სოფელი მთლად ეკუთვნის თ-დ ზაალ გურამიშვილს, რომლის მამულ-დედულს აქვს განაგებს, რადგანაც პატრონი სწეულია, და იქ ერთი ნაყმეიც არამც თუ ჩვენ, თვით მამუ-ლის პატრონსაც არა ჰყავს. მაშასადამე, „ჩანდე-ლი“, რომელიც ჩვეულებრივ ნიშნავს მარტო უსტანეო გრამოტით საკომლოდ მიზობილ მი-წას ნაყმებისას, სრულიად უაღვარდ ხსენებულია და კორესპონდენტისაგან განზრახ მოგონილი-რისთვის? ალბად იმისთვის, რომ უფრო მოკი-რებულ ფერით შედგოს თავისი დეარძლიანი გულთნადები ჩემდა მამართ. აქ ავტორის ანგა-რიში აშკარაა და აი რატომ.

ნაყმები ნამსახური კაცია, ახლად მართლაც სამარცხენო უღლიდამ გამოშვებული. ამიტო-მაც უფრო გულშესატკეპარია, უფრო შესაბრა-ლისი, როცა თავის ნაბატონარისაგან იჩაგრება და თვით ნაბატონარიც უფრო უღმრთო და უადამიანო გამოდის თავის ნაყმების წინაშე, ვიდ-რე წინაშე სხვა გარეშე კაცისა.

ალბად ეს ანგარიში ჰქონია ჩვენს ავტორს, თორემ რა მოსაგონია, რა ჰკუთვნა მოსასვლელი ამისთანა ტყუილი, რა სახსენებელია „სხანადლო ყანა“ იქ, სადა ნაყმები და, მაშასადამე, „ჩანდე-ლიც“ არ არის. მართალია, ამისთანა ტყუილის დაჭერაში ბევრი არა ყრია-რა, მაგრამ, კაცმა კაცს რომ ხასიათი და ხარისხი ზნეობისა შეუტ-ყოს, ამისთანა საქციელიც სათვალავში ჩასაგდე-ბია სხვასთან ერთად და ეს სხვა არა ერთგან კი-დევ შეგვხვდება, ოღონდ მოთმინება ვიქონიოთ და ტყუილს ტყუილს კარაგდე ვდიოთ.

უნდა გამოვტყუდე, ჩვენის კორესპონდენტის სასახარულოდ, რომ იმ ოთხს ბრალთვან, რო-მელსაც იგი მე მწამებს, მარტო ამ ამბავს აცხი-მართლის ნიშან-წყალი, მაგრამ ეს ვერაი ნამტყუა მართალიც კი ისე ამოუღვლია თავის გუ-ლის ზაფრავში, რომ თავისი ნიშან-წყალი დაუ-კარგავს, ტყუილს დიდ მანძილზე არ ჩამორჩება და მოგვგონებს ხანს, რომელიც წყალ-წალე-ბული ექიდება ხოლმე, როცა მეტი გზა არა აქვს. საქმე აი რაშია.

იმ ხუთ სოფელში, რომელნიც საგურამოს შეადგენს, სულ სახელმწიფო გლენი დგანს და იქა ჰხენენ და სთესენ, საცა მამულის პატ-რონს მოურავდებინან. ამ სოფლებში დიდის ხნი-დამ დადებულა, რომ, ვინც ვის მამულს მოხ-ნავს, მამულის პატრონს მეოთხედი უნდა აძლი-

ოს და თავისი ურმით მემამულეს კალოზე მიუ-ტანოს.

ამ მეოთხედის დათვლა-მიტანა, ათეულების ადგილობრივი შეფარდება და სხვა ამისთანა მრავალ მიზეზიან საქმეა და ხშირად ამ სარბიელ-ზე ჩხუბი და დავიდარბა მოსდით მოურავს და გლენს ერთმანეთში წუ დავიყოფებთ იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე მიწაში, ნამეტნავად თუ კოტაოდნად მოზლილია, შესაძლოა თავიდან ბოლომდე ერთმანეთს ძნა არ იყოს, ხშირად თავი კარგი, პურიანი ძნაა და სხვილი, შუა წელში, ან ბოლოში აოდილია, მომკდარია, ჰურნალებია და ამის გამო ათეულები ხშირად ერთსა და იმავე ფარდისანი არ არიან ერთსა და იმავე მიწაში.

საკმაოა მარტო ეს გარემოება დაიყენოთ თვალ წინ და მასთან ერთად ისიც, რომ ძნებს ცალკე დადგმულ ათეულებით იყოფენ ერთმანეთთან შეფარდებით, საკმაოა მეთქვას წარ-მოიდგინოთ, რომ მიხედვით — რამდენი ხიფათი მოს-ციკი ერთმანეთს გადაეკიდებიან და ერთმანეთის ჯავრის ამოყრას მოიწადინებენ.

კიდევ ვიტყვი, რომ როგორც მოურა-ვი, ისეც გლენი-კაცი ყველა უმანკო მტრედი არ არის. ამიტომაც თუ საქმე მიზეზიანია, ეშმაკო-ბა და მოტყუება ორსაგანსაც ადვილად მოსა-ლოდნელია. ერთს მხრივ ამისთანა ამბების ასა-ცილებლად, რაოდენადაც შესაძლოა, მეორეს მხრით იმისათვის, რომ კაცმა იცოდეს, მოურავი ვის ყანიდან რას ჰგზავნის, ვის რამდენს არ-თმევს, ერთის სატყუით, იმისთვის, რომ კაცმა იცოდეს, ვისგან რა შემოადის, და მოურავსაც საბუთიანი ანგარიში ჩამოართვას, მე დავაწყეს, რომ მოურავმა თვითვე გლენს იქვე, საცა მე-თხედს მიითვლის, ბარათი აძლიოს, ვისგან რა ერგო და თვითონაც დავთარში ჩაიწეროს, იქვე თავის თვალწინ ურუმზე დაადებინოს, რომ ძნები არ შესცვალონ და ისე გამოისტუმროს. გლენ-კაცი რომ კალოზე მეოთხედს მოიტანს, ძნის მიძღვებს ხსენებული ბარათი უნდა ჩააბაროს და ამ ბარათით მიუთვალოს. მეგრე ეს ბარათები და მოურავის დავთარი ერთმანეთთან შემოწმე-ბით უსწორებენ საის მამულის პატრონს, რო-მელსაც ამით ღონისძიება ეძლევა თავისი შე-მოსავლის ანგარიში იქონიოს და მისი ავი და კარგი იცოდეს.

ეს წესი, დიდი ხანია, გამოცხადებული აქვს ყველი იმ გლენს, რომელსაც ჩემთან ხენა-თესვის საქმე დაუქვრიოა. დიდმა ნაწილმა გლენ-კაცობამ ეს ნება-ყოფლობითი წესი მომიწონა, — მტყუა-ნი და მართალი ამით გაირჩევაო, და მიიღო კიდევ.

ხოლო ამ წესის დადგენა განა შესაძლოა ჩვენში ისე მომხდარიყო იმ ცოტად თუ ბევრად მრავალ რიცხოვან გლენთა შორის, რომელნიც სახანა-სათესად ჩვენს მამულს ეტანებიან, რომ შიგა და შიგ თითო-ორი კაცი არ გამოჩეფუ-ლიყო და წესი არ დაერღვია, თუ ბოროტის გან-ძრავით არა; მოუთმენლობით მაინც, რომ არ დაუგვიანდეს და საქმე წინ წაიგდოს. ბევრი ვე-ცადე ეს უბრალო და უმანკო წესი არა ვისთვის დამერღვინებინა, მაგრამ ვერაზას გავხდ: წელი-წალი ისე არ გაიფიქრა, რომ შიგანაშვი ხან ერთს გლენს არ შეეშალა, ხან მეორეს. აქ ყუ-რის მოყრება წესის სრულიად დაუშვას მოას-წავებდა. ბოლოს, სხვა გზა რომ არ იყო, დავე-მუქარე, — ვინც ჩემს მამულში სახანა-სათესად შემოხვალთ და მეოთხედს უბრალოდ მომიტანთ, დადებულ ურუმს უკან გაუბარუნებ-მეთქი.

სხენებულ წესის დადგენის აქედ სულ ორი შემთხვევა იყო, როცა იძულებულ ვიყავე მე ჩემი მექნა და ეს მექნა ცალიერ სიტყვით არ დარჩენილიყო. ერთი ამ ხუთისა თუ ექვსის წლის წინადა მოხდა, რომ უბრალოდ მოიტანო მეოთხედს უკანვე დაეუბრუნონ, არ მასხოს, წიწამურებს, თუ გურამიანთ კარელს გლენ-კაცს; და მას აქეთ მთელმა ხუთმა, თუ ექვსმა წელიწადმა ისე ჩაიარა, რომ არავის დაურღვე-ვია. ხოლო მარშან, თუ მარშან წინ, ერთს გლენს უბრალოდ მოეტანა ძნა.

აშკარაა, ან ხელახლად ჩემი მექნა უნდა ამერულდებინა, რომ წესი წესად დარჩენილიყო ან წესზე ხელი ამელო, რადგანაც მავალით იმი-სთანა შემთხვევაში მორაულ ქიხე უფრო ად-ვილად გადამდებია. რა თქმა უნდა, პირველი დონისძიება ვიჩიე: გლენს მექნა ავსურულე, უკანვე დაეუბრუნე, — მინამ ბარათს არ მომიტან, ძნას არ მივიღებ-მეთქი.

შესაძლოა ამ წესის დამყარება იმად არა ღირ-დეს, რომ კაცმა კაცს ძნით დადებული ურგმი უკან დაუბრუნოს, შესაძლოა ეს ამისთანა წესი ყოველდ გამოუსადეგარი, ყოველად უაზროც იყოს, იქნება წესის ერთობ ჩამოგდება ქართველისა-თვის საქიროც არ იყოს, რადგანაც ჩვენში ყვე-ლის, თავადია თუ გლენი, ბერია თუ ერი, თვლა და ანგარიში, ქირიეთ ეჯავრება და ყელში ძვალ-სავით დაადგება ხოლმე, ნამეტნავად საცა და

როცა არ უჯობს, ყოველივე ეს შესაძლოა კისრადაც მიღებია. მაგრამ ნუ თქვით, რომ ეს და ცეცხლს მათ ნაშობობი, ისეთი რამ არის, რომ კაცმა კაცი გასაბაბრებლად გამოიმეტოს.

რაკი საქმე იმაზე მიმდგარა, რომ ავტორის სლოგანი ამისთანა ამბებით ფრნს გასვლა, სხვა საუბნელი ძალიან დაძვლებია და მე ისეთი თუ კაცი არა ვყოფილვარ, როგორც ჰსურებია გა-მოვეყვანე, თორემ, მე იმის კეთილის გულის ამ-ბავი რომ ვიცი, ამა რას დამზოვდვად.

ღმერთმა ჰქმნას, თვითველი ჩვენგანი და ჩვენ-თან ერთად თვით იმისთანა წმინდა წყლის კაცს როგორც კორესპონდენტია, ამისებრ დანაშაუ-ლის მეტს სხვა არას ჰგანძობდეს წინაშე და მიანისა საერთოდ და გლენ-კაცისა საკუთრივ.

ალბად თვითონ ავტორსაც უგვრძნია, რომ აქ ხელჩასაკიდებელი მადენი არა არის, რომ ჩემს ამისთანა საქციელს რაც შეიძლება მეტის ავ-ზნეობის ფერი მოსცხოს, აუღო მოუტორებია, ვითომც გლენი მელანძლია მოუტორები, ჩემს ხანგრძლივ სიტუ-აციის სიტყვით, ჩემს ხანგრძლივ სიტუ-აციის სიტყვით, ამერ-იმერეთის ქართველთ ვარდა, სხვადასხვა მიღეთის ხელხთან მქონია სხვა ბევრი სომეხი, რუსი, თათარი მებოდლებელ მწყემსებად, მასამსახურებელ მყოლია. თუ ამითგანი ათი ოცი წელიწადია რაც ჩემ-თან არის და ამა ერთი ვინმე წამომიყენეთ, რომ ჩემის პირისაგან ამოსული ღანძღვა-გინება ოღე-მე გავგონოთ და ისიც უშვერის სიტყვით, თუ-ცა, იქნება, ბევრჯელ გავგავრებინავრ და და-ტუქსავს კიდევ.

დღევანდელ დღეს ადვილად შესაძლებელია რომ ერთი უნამუსო კაცი ვინმე იშოვოს ჩემს ნამუსთანა კორესპონდენტმა და ჩემდა ვსა-ტყუენებლად პირში წამომიყენოს, მაგრამ ტყუ-ლი მოწმე განა ისე ადვილად გაასაღებს თავის ნათქვამს, რომ გზა და კვალი ვეღარ ვუბოვოთ.

მარა ალია, ღანძღვა გინებაც ხელშეხება ად-მინის ღირსებისა, მაგრამ არა იმ ზომისა, რომ საქმიანმა პრესამ ამის გამო ბუკი და ნაწი-ლა დაჰკრას. ღანძღვა-გინება უმართებულო საქცი-ლია და მარტო მღანძღველის სიბრძევეს მოს-წავებს, ხოლო სიბრძევე ავ-ზნეობის ნიშანი არ არის, გაუხედლობის, გაუწურთენილობის სი-მე. იმდენი დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ, რაოდენი ქვეყანაზე ბრძევი და უბრდელი კაცი იყოს და ამასთან ყოველდ კარგი და პატიო-სანი.

ალბად ესეც კარვად სკოდნია ჩვენს მდინიერ ავტორს და, რომ უფრო გაძლიეროს ჩემი დანა-შაული, მკითხველს უფრო უტყუად აუზღვროს ჩემზე გული, გვარწმუნებს, ვითომც გლენ-კაცს ჩემის საქციელის მიზეზით ძნა გაახრებოდეს.


აქ თუ თვითონ ავტორი არ ავალაბარავთ, სულელობას ნალოპარაკევისას არავინ დაიჯერებს. გლენს ვითომც ავტორისათვის უთქვამს: „ძნა ისე იქ ჩავიტანე (ესევე „სხანადლო“ მიწა) და დავტოვო ურემი და იგოვადე ერთი დღე, მეორე დღე, მესამე, მაგრამ სულ არის, მოურავი. აქ ვუ-ჯოდე (?), მინამ საქონელმა ძნა არ დაშავა და ა-გასახრა“.

ის დალოცვილი გლენი, რაკი იქ ელოდა რაღდა დააშლევინა და გაახრებინა ძნა სე-ნელსა? თუ ჩემი მეოთხედი არ ენანებოდა, თ-ვის სამს მეოთხედს მაინც უბატონებდა, რაკ იქ ყოფილა, ძნასთან. ეს ლოდინი, მინამ საქ-ნელი ძნას გაუბრუნებდა რა სიტყვის მასალა იქ ელოდა და სიერს უყურებდა, სკონდ-როგორ უოხრებდა ძნას, რადგანაც მარტო მა-შინ გაუთავებია ლოდინი, როცა საქონელს მ-გაუოხრებია.

ამა რა დასაჯერია ასეთი სულელური ამბავი ვთქვათ, გლენი გაბრძედა და ეს უამბო ავტორს, ან აქ ვაქ-ბატონმა ან „მოგზაურმა“ ეს ცხელს უცხადესი სულელია რაგორ დაიჯერეს და თავიანთ პირით მოჰხინეს მთელს საქართველოს. აი უქულო ტყუილს რა მოკლე ფეხები აქვს, ა-საბოროტოდ აშლილს საღერდელს, დაინებულ და თავ-დაუტყერელ სურვილს ადამიანთა განა-ბრუნებისას სადამე შეძლებია თვლის ამბა, ჰე-განგებულ დასზობა!

თუნდ ვაშკ არ იყოს, განა არის საქართვე-ლოში სოფელი, რომ ან მამულის პატრონს, ან თვითონ სოფელს არა ჰყავდეს მეველე, რომე-ლიც, თუ მინდორში წანახელია სადმე, ვაღ-ბულია ან თვითონ უზლოს წანახედი პატრონს, ან უტყუარი გემი მისცეს იმისი — თუ ვის სა-ქონელს წაუხდენია, და მერმე ორ კაცს უწე-დადაწყვეტინოს სახლური.

თუ ის ძნის გაახრება მართალია და აქ რა-ს ჩაყრებული არ არის, განა ძნის პატრო-ნის შეარჩენდა ვისმე სახლურს და შეატყობინა, ან მეველეს, ან მამულის პატრონს, რომ წმინ-დი ასე თუ ისე დაებრუნებია. ვთქვათ, გლ-ენ-კაცმა სულგრძელობა და კაცთ-მოყვარეობა მოიჩინა და სახლური აპატია დამნაშავეს, ხან-და გულქვა მამულის პატრონი ხომ თავისას



შეარჩენა და მასასადავს, ხსენებულ გლეხის ძნის გახსნა მარშანდელ მეველეს მეტყობილი ექმნება. ამავე მითადა გლეხ-კაცის გულშემატკივარი ვაჟ-ბატონი წვიდეს და მეველეს გამოაკითხოს, ახლო გაუხარა საქონელმა ძნა არამც თუ იმ გლეხსა, რომელსაც ვითომ ეს ამბავი უამბნია, არამედ სხვას ვისმე ახალ სოფელში.

მეორე ბრალი, რომელსაც გლეხისათვის ვითომდა გულ-დამწვარი კორესპონდენტი მე მწამებს, ის არის, ვითომც მე ერთ სხვა შემამულესთან ერთად მთავრობას ჯარი ვთხოვე „ბუნტის ჩასაქრობად“. ესეც მტკნარი ტყუილია ლილახანა წახდარ ავტორისა, რომ მეტი არა ვთქვარა. აი აქც რა თაღლითობაა ავტორის მხრით და რა მორიდებელი ტყუილია.

პირველ ხანებში, როცა გლეხთა მოძრაობამ საფურცელადიანა მთაწია, მე ავად ვიყავ და ტულისიდან ფეხი ვერ გავდგი. ზედი-ზედ ჩემის მოურავისაგან წერილი მომდოდა,*) მოჯამაგირეობა, მწყემსები, პურის მცხოველი და სხვანი სულ გაგვიფანტეს და გავიწყდა, ამოდენა ცხერი, საქონელი, ცხენი და ღორი,**) ამოდენა სასუკარი, პური, ღვინო უბატონად დაგვრასო, ტყეს შევიფინენ და სოფელურად სხეფნო. ჯერ არ დავიჯერე. სწორად მოგახსენოთ, არ გჯერა, რომ საგურამოს გლეხ-კაცობა ასე გამოიმეტებდა, მაგრამ რა გაეწყობა? რაკი ნიღოვანი მოსკდება და მოვარდება, მართალი და მტყუანი თან მიჰქვს. ყური მოვუყრე მოწერილ ამბებს და ოთხ თუ ხუთოდ დღეს გავუჩუმიდი. მთა უფრო, რომ სოფლის სასახლეში ერთი ნასწავლი მეფუტკრე რუსი მყავს, რუსეთში სოფლის სკოლის მასწავლებლად ყოფილი, და იმის განა არა ვიცოდით. ბოლოს ამისი ბარათიც მომივიდა. მწერდა: სასახლეში მარტო მე, მოურავი და მისი ცოლი-ლა დავრჩით. ეს ამოდენა საქონელი გამოვამი დამწყვეულია უსმელ-უქმელ უბატონობისა და უკაცურობის გამო, გულმღერულ გლეხ-კაცობის შიშით კარში ვეღარ გამოვსულვარო. თუ ასე იქნებოდა და მალე არ მოგვეშველებოდა, მეტი გზა არ არის, აქაურობას თავი უნდა დავანებო და ამოდენა ფუტკარი (ასს ოპიოლამდე სკაა) ღმრთის ამბარად დავტოვო. მოურავიც წასვლას აპირობდა.

მაშინ კი ტულისიდან კაცი გავგზავნე და მოწერილ მოურავსაც და მეფუტკრესაც, — ნუ შიშობთ, გლეხ-კაცი ისე არ გასულელდებიან, რომ კაცს დაუშვან რამ, ავ-კაცობა რამ შეამთხოვონ. ერთი ორიოდ დღე როგორც უბატონოეთ მანდაურობას და მე ვეცდები მოჯამაგირეობა აქ, ტულისში, გიშოვთ და მოგაშველოთ. ვიშოვებ და გავუგზავნე კიდევ, მაგრამ გლეხ-კაცებს ესენიც დაეშინებინათ და გამოერეხათ. აქედ მოვდგე, იქით მივდგე და კაცი ვეღარ ვიშოვე მოჯამაგირედ გლეხ-კაცობის და ამ არეულობის შიშით.

რა უნდა მექმნა? ნუ თუ ამოდენა ქონება და საქონელი უნდა დამეღუპა. ან გლეხებს ანთ რა შეემატებოდათ? ბოლოს, რომ ვეღარას ვაგზადი მხარის უფროსს დავეშოვი ვთხოვე, შეგლა რამ გავიწვიეთ-მეთქი. ღმრთობა უშველოს, მაშინვე სამი „სტრაფიკი“ გამოგზავნა, — სასახლე და კარ-მიდამოს უბატონეთა, „სტრაფიკები“, რა თქმა უნდა, მე ჩემთან დავაყენე, მე ვამევედი, მე ვაქმევედი, ცხენებს მე ვუნახავდი და ერთი იმათგანი სოფელს არც კი მიჰკარებია, არც ერთს მათგანს გლეხ-კაცის წკირისათვისაც ხელი არ უხლია. როცა მოჯამაგირენი ვიშოვე „სტრაფიკები“ მაშინვე დავითხოვე.

ნუ თუ ჩვენმა გადარდებულმა მხილებელმა ეს ამბავი ჩაიწვიეთა ყურში და ბუზს აქლემი აშობინა თავის ახირებულ სურვილისამებრ იმ სახით, — ვითომც მე ჯარი მეთხოვოს და გურამიანებს ჩამეყენებინოს. პირდაპირ ვამბობ: არც მი-წერილია და არც მოვითხოვე, თუ ჩვენის ავტორისა და „მოგზაურის“ წყალობით, ზედ მოსვე ჩემზე გლეხისა არ მოხერხდა და ნუ გვითხვამს, ან მეორედ საქმე ისე არ გამიხადეს, რომ მთა მიერ მოსულს და ასისინებულს გლეხ-კაცობას მტრულად დავხედე, რაკი, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემდა საუბედუროდ, სხვა გზა არ იქნება თავის გადარჩენისა. ეს უფლება თავის გადარჩენისა ბუნებამ ყოველ თვითვეულ ცალკე ადამიანსაც კი მიანიჭა, და ნუ თუ მარტო ჩემთვის ღმრთობა არ გამოიმეტა, რომ მით ასიამოვნოს ჯერ პირველ „მოგზაურს“ და მეორეს მის მიერ უფლა-აღკაცობით მიღებულს ავტორს. შესაძლოა სწავლელმა თავბრუ დასხმულ ადამიანისამ ამ სწავლა მყოფელობამდე მიახწიოს, რომ მე ეს უფლება ჩამომართოს. მე კი მინც პირდაპირ ვამბობ, მე ჯარი არც მითხოვინა და არც მო-თხოვე.

ამას იმიტომ-კი არ ვამბობ, რომ ჯარის მოწვევა ძალ-მომრეობის და ერთმანეთზე მისევის და საწყნარებლად, რაკი სხვა გზა არ არის, სამარცხვინოდ რად-მე მიმანდეს, პირ-იქით, ბევრი იმისთანა ქვემარტის გულით მოყვარეა გლეხისა, რომელსაც ჯარის მიწვევა ერთად ერთ ღონისძიებად მიანია, რომ გლეხ-კაცმა ჯარის შიშით ძალ-მომრეობა, ძარცვა-გლეჯვა, ცეცხლ-წაიდება და სხვა ამისთანა არა ჩაიდინოს-რა, რადგანაც მოვა დრო და ყველა ეს საზღაურად გაუხდება უამისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალ-წაღებულ გლეხ-კაცობას. იმას აღარ ვიტყვით, რომ ამისთანა ცუდ-კაცობა და ავ-კაცობა ყოველს სასურველს მოძრაობას სახელს უტყვის და იმიტომაც ზოგს კაცს ორ წყალ შუა აჭერებსო.

იქნება ესეც იყოს, მაგრამ მე ამ მოძღვრების თანახმად არა ვარ, რადგანაც ჯარის შიშით შესაძლოა ბევრ ავთან ბევრი კარგი შეფერხდეს, ბევრი კარგი თან გადაჰყვას. თუნდ ეგეც არ იყოს, თუ მარტო კაც-მოყვარეობა და სულ-გრძელება არა, პირდაპირი ანგარიში თხოვლობს, რომ კაცმა ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზე მოსულ გლეხ-კაცობის დასაწყნარებლად, რადგანაც სხვალი, ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობისთან მიგვიხდება სულიერი და ხორციელი ცხოვრება. განა ეს მოსალოდნელია, განა ეს შესაძლებელია ჯარისაგან დაწოკებულ და აკლებულ გლეხ-კაცობის მხრით? კაცს ადამიანის ბუნებისა არაფერი არ უნდა გავგებოდეს, რომ აქ ჰო სთქვას.

დავანებოთ ამასაც თავი და ეხლა სხვა მხრივ გავუსინჯოთ კბილი ამ ჩვენის მამებლარის ბეზლობას. ესთქვით, კორესპონდენტი სიტყვისამებრ, მთავრობამ ჯარი გავგზავნა საგურამოში, სხვათა შორის, ჩემის თხოვნითაც. რაკი ეს ჩემი თხოვნაც საბუთად დასდებია ჯარის გავგზავნას, ამ თხოვნას ხომ კვალი რამ უნდა დარჩენოდა ან მხარის უფროსის, ან გუბერნატორის, ან მთავარ-მართებლის კანცელიარიაში. ამისთანა არა სახუ-მარად პასუხის საგებელი მიძე საქმე, როგორც ერთობ, — ჯარის გავგზავნა და ჩაყენება სოფელში, განა შესაძლებელია ისე, რომ მიწერ-მოწერა არ გაემართათ და შოგ თხოვნა სხვისასთან ერთად ჩემიც არ დავსახელებინათ, ვითარცა მიწეხი?

კორესპონდენტმა რომ თავისზე მეტი სუნის ამღები მეძებრები არბენოს საძებნელად, საგურამოს ჯარის ჩაყენების საქმეში ვერსად ვერ იბოვის ჩემის სახელის ხსენებასაც, რადგანაც ჯარი არავისათვის მითხოვინა არც სიტყვით, არც წერილით. თუ გაქვარც, ამის ოფიციალურ მოწმობასაც წარმოვადგენ.

ვთქვით კიდევ, რომ იმდენი შევიძელი და ჯარი გავგზავნინე. სამ-ოთხ დღეს შემდეგ ხომ ჯარი უკანვე წამოვიდა, თუმცა ხალხი დღეს აქამოდინაც არ დაწყნარებულა და პირვანდელს ყოფაწია თითქმის. თუ ჯარის მიწვევა შევიძელ, ნუ თუ იმას კი ვერ შევიძლებდი, რომ ჯარი იქვე დარჩენილიყო, მინამ გლეხ-კაცობა არ დაწყნარდებოდა, და ვგერ მალე უკან არ წამოსულიყო. მაშ რად უნებნია ამ ჩვენს გახუცებულს ავტორს ამისთანა ტყუილის ხელდახელ გამოცხობა? მაღ, რომ კაცია და გუნებაო. ღმრთობა ესეთი კაცობა და ესეთი გუნება, თუ ბუნება, მშვიდობაში მოახმაროს ავტორს იმ ერთგვარ ჯგუფის სადღერძებლად, რომელიც არავითარ საზიზარ ცილის წამებას არ მთავილობს, ოღონდ კი ქუქკი რამ მოსცხოს მისს არა. მისამოგონებელს და არა თანამოხარეს.

მესამე ბრალი, სხვებზე არა ნაკლებ ტყუილი, ის არის, რომ „არც დიდებული ილია ქვეპავაძე“ თურმე და არც სტაროსელსკი გლეხებს ნუ-ბას არ აძლევს ზეზე სადგომის აგებასაო. ამას კი ჩვენი პარტიისანი კორესპონდენტი თავისით ამბობს და არა სხვისა სიტყვით. სტაროსელსკისა არ ვიცი, და „დიდებული ილია ქვეპავაძე“ კი არა დიდებულს და ძალიან დანამცეცებულს ავტორს მოახსენებს, რომ საგურამოში გლეხთა საბინადრო ადგილები ერთი მტკავრეში არ ეკუთვნის არც ილია ქვეპავაძეს, არც მის მე-უღლეს და სულ სააპეტუნოშია და, როგორც ზევეთ აღწინშეთ, მთლად სხვისი მამულია. მაშასადამე, სხვის მამულში რა ხელი მაქვს ან დავუშალო ვისმე, ან ნება ვაძლიო ან მიწურის გათხრისა, ან ზეზეურად სახლის აგებისა, ძალიან გულითაც რომ მინდოდეს.

ან ამა რა ხელსაყრელია, რა სახეიროა ვისთვისმე-გლეხ-კაცს, რომელსაც თავის საბინადრო ადგილზე მიწურის გათხრის ნება აქვს, ზეზეურად სახლის დადგმას უშლიდეს ვინმე. ამა ეს ასეთი დამლა რა ქუაში მოსასვლელია? იმ ქუაში, ბატონებო, რომელიც ღმრთის სხვებისთვის დაურთებია და ზოგიერთისთვის კი არ გა-უმეტნია, — მეტი ბარგი იქნება და ვერ ატარებსო.

ამ სახით, ეს ზეზეურად სახლის დადგმის ამბავიც ჩვენ გახუცებულ ავტორის მიერ შეხანხ-ლილი ქორია და მისდა სასახლოდ ისიც უნდა დავუბატოთ, რომ გლეხის ნაამბობი კი არ არის, მის მიერ საკუთრივ მოგონილი და შეთხუზუ-

ლია და იმიტომაც არის ასეთი კარგი და ლი-ზათიანი.

რომ ეს მართლა ქორია და არავითარი საბუ-თი არ მიუძღვის, ვთხოვ ავტორს წაბანდეს და თავის თვლით ინახულოს თუნდ ტფილისიდან პირველი სოფელი წაიწერი, *) რომელიც საამო-კურო ადგილობა და ითვლება ხუთ საგურამოს სოფელთა შორის და დიდ შარა გზაზეა, წაბან-დეს-მეთქი, თუმცა უამისოდაც აქამომდე ათას-ჯერ აუვლია, და ინახულოს რამდენი სახლია, ზეზეურად წამოქმედი ბეჭდზე, ზოგი კარგა ხნის ნაგები და ზოგი დღესაც არ დამთავრებუ-ლი.

თუნდ ეგეც არ იყოს, საბძლები, სასიძინდე-ები და სხვა ამისთანა სამამული შენობანი ხომ ყვე-ღვან ზეზეურად დაგას და, თუ ამათს ზეზეურობას წინ არავინ უდგა, სახლების ზეზეურადდგმას რაღა ქუაა წინააღუდგეს. განა აშკარა არ არის, სა-და სცემს ავტორი, როცა ამისთანა ქორს იგო-ნებს. აშკარაა, ავტორს სდომებია ამ ქორით ქვეყანა დაერწმუნებია, რომ, აი, „დიდებული ილია ქვეპავაძე“ რა ღმრთის რისხვა კაცი ყო-ფილა, — გლეხს უნდა მიწურიდამ ამოძვრეს, მზე დინახოს, საღი ჰაერი ჰყლაპოს და ქვეპავაძე კი არ უშვებს და ამ სახით გლეხ-კაცს მიწურში აღწვამოს.

მეტი შხამი-ლა შეიძლება გულში ატაროს კაცმა კი არა, თუნდ ასილმა გველმა, რომ კაცს არც სადმე გლეხი ჰყენდეს, ერთი მტკაველი საბინადრო მიწა არ ეხადოს, ერთი რამ სადმე მიწური გლეხისა არ გაანდეს და მინც ამისთანა გესლიანი კბილი-კი გამოჰკრას, ამისთანა უდ-მერთობა დასწყამოს! აკი მოგახსენეთ, დანახვით კი შევდგენ და საიღამ და როგორ ამომწვედნენ, ის კი არ შესძლებიათ.

ამაზე ნათქვამი: თხამ სანეკრე დაინახა და სა-ბტოკი არ გაუსინჯაო.

დავგრა ცხლა მეოთხე და უკანასკნელი ბრალი, ყველაზე მეტად შემადრწუნებელი და საშიშნელი, რადგანაც თითქმის კაცის-კვლამდე გაქმულია. რა ზნებურ ავლადიდებს პატრონია ჩემი პა-ტროსანი მხილებელი, ისე აშკარად არსადა სჩანს, როგორც ამ მეოთხე ბრალის დაწამებაში, საცა მე და ჩემს მოურავს თუ კაცის მკვლელოდ არა, კაცის სიკვდილის მიზეზად მინც ვგვდის. აქამო-დენა საზიზარს ბრალსა გვედებს ორ კაცსა და ერთს სიტყვასაც, დაახ, ერთს სიტყვასაც მარ-თაღს არ ამბობს, თორემ ხომ ვნახავთ, თუ მკითხველი იპოვდნა ბატვის დამდგმს, მოთმინება იქონიოს და ბოლომდე ჯერ თვით ავტორს მოუ-სმინოს მის მიერ მოთხოვნილი ამბავი და მისთან ერთად ჩემი საბუთებიც განიკითხოს.

„ამ ზამთარსაო, უთქვამს ვითომც ავტორის-თვის ერთს გურამიანთ-კარელს გლეხს — „დიდი ყინვებისაგან სოფლის სასმელი წყალი გაიყინაო ისე, რომ მთლად უწყლოდ დავრჩიო“.

ეს მთლად თავიღამ ბოლომდე ტყუილია. ამის დასამტკიცებლად საქმარისია მარტო იგი ადვილია და უტყუარად შესამოწმებელი გარემოება მო-ვისხნითაო, რომლის კვლიც თავის დღეში არ წაიწვება, თუნდაც მთელი სიბრძნე „მოგზაუ-რისა“ და სიტყუე ავტორისა ზედ დააბღერტო. საქმე ის არის, რომ სოფელ გურამიანთ-კარს, მისდა საბედნიეროდ და ავტორის საუბედუროდ, შიგ სოფელში ვერედ წოდებულნი თეზამის წყა-ლი ჩამოუღის. ამას ვარდა, შიგ სოფელშივე არის წყარო, რომელიც ამ ოცის წლის წინად გამო-იყვანეს სტაროსელსკიანთ მიღებით, როგორც თა-ვისათვის, ისე საფლისათვის. ეს წყარო კარგა მოზრდილია ასე, რომ კვლიც კი უდგა საქონ-ლის წყლის სასმელად.

თეზამის წყალი ხევის წყალია და გაშლილ მინდორზე მოდის შორიდან. რა თქმა უნდა, ბევრჯერ ზამთარით იყინება. ხოლო გურა-მიანთ-კარის წყარო-კი თავის დღეში, რაც გინდ ძღვრი ზამთარი იყოს, არა დროს არც გაყინუ-ლა და არც გაიყინება, როგორც მოგახსენებთ, ბუნება წყაროს წყლისა. ვთხოვ ბაზან რედაქ-ტორს „მოგზაურისას“ და მის მიერ განებებებულს ავტორს მიბანდნენ და იქვე, ადგილობრივ შე-ამოწმონ ჩემი ნათქვამი. აქ მოწმად მომყავს იმისთანა ჯტყუარი, იმისთანა დაუქრთამავი მო-წმე, როგორც ბუნება, და თვალად დასანახავი გარემოება.

გზა რომ არ შევმლოთ, წინადვე ვანიშნებ, რომ თეზამის წყალი და წყარო იქვე გურამიანთ-კარშია, ხიდ ქვეშ გამოდის, სტაროსელსკის სახ-ლის წინ. ამ სახლსა და ამ წყლებს შუა სულ ორი საყენი შარა გზაა სოფლისა.

აშკარა ნამბობი ვითომდა გლეხისა „ამ ზამ-თარს წყლები გავყენინა ასე, რომ უწყლოდ დავრ-ჩიოთ“, ან კუდიანი ტყუილია გლეხისა, ან ზღა-პარია თვით ავტორისაგან, ხელდახელ შეხანხ-

ლული იმის ძალით, რომ რაც მეღას აგონდე-ბა, ის ვხანებოაო.

ესეთი ცხადზე უხადესი ტყუილი ერთად ერ-თი სათავეა, საიღამაც ჩვენს სახელოვანს ავტორს ნარმოუდენია იგი შემადრწუნებელი ტრაგედია, რომელსაც კაცის კვლით ათავებს და ამ კაცის კვლის მიზეზად მე და ჩემს მოურავსა გვდის.

რაკი ეს ერთად-ერთი სათავე მისით ამოგმსო და ჩაეფუშა, რაკი ძირიან-ფესვიანად გამოეგრა ეს ერთად-ერთი საძირკველი, რომელზედაც ასე უშიშრად აუვია ჩვენს მამებლარს მთელი შენო-ბა თავისის სიბრძნე-სიტყუისა, სხვა დანარჩენი ნაშენი ფეხზე როგორღა იდგომილებს და რო-გორ არ დამეხობა პირქვე თავის თავად. იმიტო-მაც მე მარტო ამ ერთად-ერთის საძირკველის დაარღვევა უნდა მექმნა და აქ დამეცვა წერტი-ლი. მაგრამ რა ექმნა, რომ თვითონ ავტორი არ მეშვება და ჩემდა დასაბეზლად ტყუულზე ტყუილს აწვებებს.

ხომ ათქმევინა გლეხს ის აშკარა ტყუილი, ვითომც ამ ზამთარს გურამიანთ-კარელს წყლე-ბი გაჰყენიათ ასე, რომ მთლად უწყლოდ დარჩე-ნილან. ეს ტყუილი თავის თავად არაფერს ნიშ-ნავს, კაცი იტყვის: ილია ქვეპავაძის რა ბრე-ლია, რომ გურამიანთ-კარში ზამთარობით წყლე-ბი იყინებოა. მოუთმინეთ, ბატონებო, ავტორს, — ის მოგახსენებთ, აქ ძაღლის კული სადა მარხია. აი იგი რას მოგვითხრობს, ვითომდა გურამიანთ-კარელს უამბნია:

„სოფელ ზევით სამ ვერსტზე ტყეში მიუვალ ღელეში ქვეპავაძის მამულში გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთარობით არ იყინებოა“.

ესეც ისეთივე მტკნარი ტყუილი, ან მლონ-დებული ზამთარა თვით ავტორისა. თუ ჩვენი ტრუბუნტელა მამებლარი მოწყალეებს მოიღებს და გურამიანთ-კარის ზემოდ ამ სოფლიდამ სამის ვერსტის მანძილზე ჩემს ტყეში „მიუვალ ღელე-ში“ ისეთს პატარა წყაროს მიპოვის, რომ ან კო-კა მიღებით აივსებოდეს, ან როგორმე და იქვე, საცა გამოიყინავს, ახლო მანძილზე სიპატარაობით არ იკარგებოდეს, დიდი მადლობელი ვიქნები და, ვშიშობ ამ ითაკილას, თორემ სამახარობ-ლოსაც მივართმევდი. აქაც მიწმად მოვიყენე თვითონ ბუნებას და თვალთა სანახავს ვარგოე-ბას, რომელნიც ყოველთვის და ყოველ ეამს უტყუარნი არიან. სხვა არა იყოს რა, მე თვითონ სხვისი მამულიდამ ჩემს გზაში მიღებით გამო-ყვანილ წყაროს წყალს ვხმარებ. იმას კი აღარ ვამბობ, რომ გურამიანთ-კარს ზემოდ ტყე სტა-როსელსკისა და არა ჩვენი ჩვენს ტყესა და გურამიანთ-კარის შუა სტაროსელსკის ტყე, მინ-დორი და ვენახებია კარგა მანძილზე.

გონი ცხადია, რომ გურამიანთ-კარელნი ამ ზამთარს და არც როდისმე უწყლოდ არ დარ-ჩომილან, ჩემს ტყეში მიუვალ ღელეში არავი-თარი წყარო არ მოიპოვება, არამც თუ სასმე-ლად საკმაო იყოს, არამედ სახსენებლად ღირ-დეს... ამის და მიუხედავად გაჯიუტებული ავ-ტორი აი როგორ მოგვითხრობს ვითომდა გუ-რამიანთ-კარელ გლეხის ნაამბობს:

„დავიწყეთ ამ წყაროთი სარგებლობაო. დაგ-ვისია თვალდა მოურავები“), ბიჭები და ავეიკრძი-ლა წყლით სარგებლობაო და თანაც გვითხრეს: ვისაც წყალი უნდა, იმან სულ თითო საქონელ-ზე ათი შური-უნდა გვაძლიოს თვეშიო და სას-მელ წყალს მუქთად დავითმობთო. იძულებული ვიყავით დავთანხმებულყავით და მთელი ზამ-თარი ვაძლიეთ ეს ხარკო“.

ამ სახით ავტორი გვარწმუნებს, რომ გურა-მიანთ-კარელებს „დადუწყით სარგებლობა იმ წყაროთი, რომელიც არ არსებობს და მარტო ავტორის ტყუილად მოჩუხჩუხებს. თუნდაც ასე არ იყოს, რა დასაჯერებელია, — კაცმა მიუვალ ღელეში, სოფლიდამ სამს ფეხზე „ზამთარის ყინ-ვისა და სუსში დიწყოს სარგებლობა პატარა წყაროთი“ მაშინ, როდესაც ცხვირწინ შიგ სო-ფელში აქვს კარგა მოზრდილი წყარო, რომე-ლიც არც გაყინულა და არც იყინება.

საქონლის სასმელ წყალში თვეში ათი შური უნდა გვაძლიოთო, უთქვამს გურამიანთ-კარელები-სათვის ჩემს მოურავს და ისინიც დათანხმებუ-ლან, რადგან წყლების გაყინვის გამო მეტი გზა არა ჰქონიათ, თუ სოფელ ზევით სამს ვერსტზე ჩემს ტყეში მიუვალ ღელეში პატარა წყაროთი არ დავწყით სარგებლობა.

ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: თუ იგი პატარა წყარო მიუვალ ღელეშია, საქონელი როგორღა უნდა მისულოყო წყლის სასმელად და მეორე, — თუ წყარო პატარაა, როგორც ავტორი გვარწ-მუნებს, ნახირი რამდენი ხანი უნდა გაჩერდეს ისიც მიუვალ ღელეში ყინვა-სუსის დროს, რომ წყურვილი მოიკლას? ერთი დაწაფება ხარისა თუ კამეჩისა და პატარა წყაროს ამოწურტვნა ხომ ერთი იქნება ამ შემთხვევაში,

*) გლეხებსვე ჩამოქონადო მალულად.
**) ყოველივე ესე კარგა ბოლომდე მყავს, ჩემის მხილე-ლის საწყურად.

*) მარტო ერთი რვა თუ ცხრა კომლიანი სოფელია, წიწმადედ წოდებული, საცა მარტო ორი თუ სამი კომ-ლი ნაყმეია ზაღ გურამიშვილისა.

*) ჩემს დღეში ერთის მეტი მოურავი არა მყალია.

ან რა საქონელი გურამიანთ-კარისთვის სოფლის ზემოდ სამს ვერსზე მიუვალ დღეებში ყინვისა და სუსხის დროს საქონლის არევა წყლის დასაღვრად პატარა წყაროზე? ჯერ ერთი რომ შიგ სოფელში, როგორც უკვე მოგახსენეთ, ცხვირ წინ მშენებელი და საქონელი წყარო აქეთ საქონლის სასმელადაც და თავიანთთვისაც. მეორე—ვერსტ-ნახევარზე თუ ორს ვერსტზე გურამიანთ-კარს მთელი არაგვი ჩამოუდის, რომელიც, როგორც დიდი და ჩქარი წყალი, ჩვენში არა დროს არ იყინება მთელ სიგანეზე ისე, რომ საქონლისათვის წყლის სასმელი არა რჩებოდეს ან მთლიან გაუყინავი, ან ისე თხლად გაყინული, რომ ყინული ადვილად ჩასამტვრევი არ იყოს.

გარდა ამისა, არაგვისა და გურამიანთ-კარს შუა, მაშასადამე, სოფელზე უფრო ახლო, ერთი დიდი ფშაა, რომელიც წინკვილებს აბრუნებს ზამთარ-ზაფხულს, რადგანაც ფშის წყალია და ფშის წყალი ხომ თავის დღეში არ იყინება. ამ წყლები-საკენ, უფრო ფართო, უფრო ვაკე და უფრო მოკლე გზა, ვიდრე ჩემის ტყის მიუვალ დღე-საკენ და ეს გზა სტაროსელის მამულებზე გადის სოფლიდან დაწყებული ხსენებულ წყლებამდე. ამ წყალზე სიარულს დასაღვე წყლის ამოსატანად, ან ნახირის წყალზე გარეკის მამულის პატრონი არაგვის არ უშლის და მე, რომ ძალიან გულითაც მინდოდეს, სხვის მამულში რა ხელი მიქვს ან დაშლისა, ან არ დაშლისა.

ყველა ამის დასამტკიცებლად ხელახლად ვთხოვ „მოგზაურის“ რედაქციას და მის მიერ პატრიარქთან მიღებულ მტყუან კორესპონდენტს მიმხანდნენ და ადგილობრივ გამოკითხონ იმისთანა მართალს და მიუდგომელ მოწმეს, როგორც ადგილ-მდებარეობა და ბუნება, რომელიც თავის დღეში არა სტყუიან. მაშ გურამიანთ-კარს ისე როგორ გაუჭირდებოდა ან როდისმე, ან ამ ზამთარს, რომ ამდენ უფრო ადვილად ხელთ მისაწვდენს უფრო დიდ წყლებისათვის თავი დაენებებინა და უფრო შორს სადღაც მიუვალ დღეებში დაეწყო „პატარა წყაროთი სარგებლობა“ და ამ სარგებლობისთვის თვეში ათი შაური ბა-ეი ეძლია თვითო სულს საქონელზე ვითომდა იმ მიზეზით, რომ სოფელი უწყლოდ დარჩენილა და ჩემს იქით მეტი გზა არა ჰქონებოდა.

მას მერმედ, რაც მოგახსენეთ წყლების თაობაზე, ნუ თუ აშკარა არ არის, რომ გურამიანთ-კარს ბევრი სხვა გზა და წყალი ჰქონია იქვე ცხვირ წინა და, მაშასადამე, მთელი ეს უწყლოდ დარჩენა, ეს პატარა წყაროთი სარგებლობა და ამ სარგებლობისათვის თვეში ათი შაურის იძულებული ძღვევა თითო სულ საქონელზე, თუ ურცხვი ტყუილი არ არის, მაშ რა ჯანაბაა.

პირველ შეხედვით კაცს ეგონება, რომ აქ მართა უმანკო მტრედის უგუნურება ავტორის მხრით და სხვა არაფერი. ნუ რას უკაცროდ: ავტორს კარგად სკოდნია, რისთვის რას ამბობს, რაი გულზე მოსწოლია იგი სადაგელი საწადელი, რომ ასე თუ ისე გამაბიაროვოს და ამისათვის ის ბრალი მოუგონია, — ვითომც წყლის ბაეს ვახდევინებდეთ თვეში ათ შაურს თითო სულ საქონელზე, ავტორს უგარბნია, რომ ამისთანა ამბავი ბევრს არას იტყვის ჩემდა შესარცხვენად, და ჩემი დანაშაული ვგრედ სადად მორთული, ისე შემხრებნი არ იქნებოდა, როგორც ავტორისათვის სასურველია. აშკარაა, ამ დანაშაულის გაძლიერება, ვახვიალება დასკირება და ეს ტყუილები კუდად გამოუბამს— ვითომც წყლის ბაეი სადაც მიუვალ დღის პატარა წყაროში მართმევი. უამისოდ კაცი იფიქრებდა: ილია ჭეჭეჭაძეს აღზად დიდი რამ წყალი, ადვილად მისაწვდენი ჰქონია და თუ მართლა ბაეი დაუდგია, ეს ჯერ იმისთანა ავა-კაცობა არ არის, რომ ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელი და შესანდობარი არ იყოს.

აი ეს მცირე წყალბაძე არ გაუმტვრებია ჩემთვის ამ გულ-გაჯიქებულს პატრონის მამულებს და მიუვალ დღეებში და პატარა წყაროთი მოუგონია, რომ კაცს ათქმევინოს: ეს ილია ჭეჭეჭაძე რა კაცი ყოფილა, რომ სადაც მიუვალ დღეებში პატარა წყარო ჟონავს და იმაშია კი ბაეი ურთმევი და ხარჯი დაუდგია გლეხებისათვის. მერე რაედენი? თითო სურ, საქონელზე ათი შაური.

საქმე კი აი რაშია: საგურამოში, რომლის წრეშიაც ხუთი სოფელია, გლეხ-კაცები სხვადასხვა მემამულის ტყესა და მინდორს ჰხდებინან საქონლის საძოვებლად, სხვათა შორის, ჩემსა და ჩემის მეუღლის თავისუფალ მამულსაც. დიდის ხნით დაწესებულია, რომ ვინც სხვის მამულს მოხდებდა საძოვებლად, მამულის პატრონს უნდა აძლიოს თვეში ერთი შაური თითო სულს საქონელზე, ესე იგი, წელიწადში სამი აბაზი, სოფელ წიწამურის გარდა, საცა თითო სულზე თითო მანეთს იხდიან წელიწადში, რადგანაც

სამოგრაღ უფრო კარგი მამულია და ქალაქზე უფრო ახლოა, მაშინ, როდესაც მთიულეში და სხვა შორიდან მორეკელ საქონლის პატრონები, სულ ცოტა რომ ესთქვა, ექვს—შვიდს აბაზს და ზოგჯერ ორ მანეთსაც იძლევიან თითო სულზე საძოვებლად ისიც ხუთს-ექვს შემოდგომის და ზამთრის თითვეგზში და არა მთელის წლის განმავლობაში.

აღბად ეს არის იგი ხავსი, რომელსაც ჩვენი აქაც წყალ-წადლები ავტორი ჩაჰკიდებია, არც უცხოება არც უცხელებია და თვეში ერთი შაური ერთითად შეუქცეია, ერთი შაური ათ შაურად გაუზნია და საძოვებლად წყლის ბაედ უქცევი. აბა რა ქუქის ამისთანა კაცს, რომელიც მამულებს საქონელს ხელობას შესდგომია და იმოდენა მოხერხებაც კი არა ჰქონია, რომ ესე ადვილად გამოასხარეკ თაღლითობასაც არ მორიდებია. ეინი ბეზღობისა, შურის-გებისა, ეინი გულ-ღვარდიანობისა, როგორც ყოველივე სხვა უწყალო ეინი, ძნელად თავდასაქერია, რაკი კაცს შესწევია.

დავგრჩა ეხლა ერთი ბრალიც, რომელიც ამ ზამთარს წყლების გაყინვას და ამის გამო გურამიანთ-კარის უწყლოდ დარჩენას მოჰყოლია ვითომც.

ავტორი უკანასკნელ ბრალის შესახებ ასე მოგვითხრობს, — ვითომდა გლეხის ნაღაპარაკებს:

„ჩვენ სოფელში იყო ერთი ძალზე დატაკი კაცი; ასე, რომ ჩვენ—ღარიბებს გვეყავდა ზურგზე აკიდებული თავისის ცოლშვილით. ერთს დღეს ამ კაცს აემოს ორი კოკა, გადაეკიდნა მხარზე და მიჰქანდა სახლში. გზად გამოვლილი დანახა ი. ჭეჭეჭაძის მოურავმა, გვარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, — რატომ თვეში ათ შაურს არ იხდია. — თქვენ ათი შაური საქონელზე დაადგინეთ, მე კი კატაც არა მყავსო. ან ათი შაური ვინ მომცა, მე სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებდამ ავლანტაღი და, ხომ იცი, სულ ავადა ვარო...“ მენტან ბევრი ლაპარაკი არა ღირსო „და ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივე საგეს კოკა ზედ დაამტვრია ნახევრად შიშველ გლეხსო“.

თუ ეს მთელი ისტორია კოკების მტრევისათვის და ბოლომდე ტყუილი გამოდგა და სულ მთლიან მოუგონია სახელგონის წარმომადგენელს ერთგვარ პრესისსა, რა სახელი უნდა დაერქვას ან ავტორს, ან მის საქციელს!

ვიღრე ამ კოკების მტრევის ამბავს კრიკაში ჩაგულდებობთ და არაქათს გაუწყვეტთ, საქონელი გაიხსენოთ, რომ ყველა ეს ამ ზამთარს მომხდარა. დაეჭვიოთ ისიც, რომ აქ ხსენებული საცოდავი გლეხი სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებდამ ავლანტაღი და სულ ავად თურმე ყოფილა. ამისდა მიუხედავად, ამ ავლანტაღს კაცს ცხვირ წინ წყაროსათვის თავი დაუხედავია, ზამთრის ყინვისა და სუსხში სოფლის ზემოდ სამ ვერსტზე წახეტიალებულია, ორის კოკით აკიდებული, რომ სადაც მიუვალ დღეებში, პატარა წყაროზე, ეს ორი კოკა ავესო, ზურგზე გადაეკიდნა და იმ სიშორიდან სოფელში ჩამოეტანა.

განა წარმოსადგენია, განა შესაძლოა, რომ კაცი, რომელიც სულ ორი კვირაა, რაც აღანტაღი ქვეშაგებდამ და სულ ავად არის, ნახევრად შიშველი, ორი კოკა, სოფელ ზეით მთაში სამს ვერსტზე მიუვალ დღეებში პატარა წყაროზე მიეტანოს, იქ ორი კოკა ავესოს, სავსე კოკები ზურგზე აკიდნოს და სოფელში ჩამოეტანოს. ორი საგეს წყლით კოკა ჯერ სახედარისა და ცხენისათვისაც მძიმე სატარებელია და ნააადამყოფარი, სწული კაცი როგორ უნდა მორეკოდ? ან რა საქონელია, რა ქეუაში მოსასვლელია ნახევრად შიშველმა, სწულიმა კაცმა ეს მძიმე საპალენე აკიდოს და სამის ვერსტის სიშორეზე მიუვალ დღეებში წავიდეს წყლის ჩამოსატანად, როცა რამდენისამე ლაჯის გადადგამზე შიგ სოფელში მშენებელი წყაროა, როგორცა ვთქვით.

რაკი ესეა, მაშ ეს ნახევრად შიშველი გლეხი და მის ზურგზე კოკების მტრევა სრული ზღაპარია მამულებლისა და სხვა არა-რა. თუმცა ესეა, მაგრამ ჩვენი ტყუილის მცობელი მხილებელი ამასაც არ ჰქმარობს და მოგვითხრობს, რომ ამ არა ყოფილს მტრევის კოკებისას არა-ყოფილ გლეხ-კაცის ზურგზე ილია ჭეჭეჭაძე

„ბალკონიდან ოთხს მანეთიან ქურქში გახვეული უყურებდა (აბა, ტრაგედია აქ არის და: ცალკე ოთხს მანეთიან ქურქში გახვეული გაბლინძული თავილი და ცალკე ნახევრად შიშველი გლეხი), გულიანად იცინოდა და თანაც აქებებდა ერთგულს მოურავსო“.

ნუ დავიფიქრებთ, რომ ნახევრად შიშველი გურამიანთ-კარელი გლეხი გზად მიმავალი ყოფილა ჩემის ტყიდან, როცა მე კოკების მტრევი-

სათვის მიყურებო. თუნდ ეგეც იყოს, რომოც თუმნიანი ქურქი აქ რა სახსენებელია! რა სიტყვის პასუხია! თუმცა მე ორმოც თუმნიანი ქურქი ჩემს დღეში არცა მქონია და არცა მსხმია და თუნდ მქონებოდეს და მსხმოდეს, ამაში სამარცხვინოს არას ვხედავ, რადგანაც მეგონია, რომ არც ჩემი მამულები დაიწუნებდა ორმოც თუმნიან ქურქს, თუ როგორმე მოიხერხებდა, მაგრამ მინც სასურველია ვიცოდეთ: აქ ჩემი, ვთქვათ, ორმოც თუმნიანი ტყუილი ქურქი რა მოსატანია, რა შუაშია?

რაკი უმიზეზო ქვეყანაზე არა არის-რა, უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც არის ერთი რამ მიზეზი: ან ის, რომ საშინელი უსამართლობა დაენახებინა ქვეყნისათვის; აქაო და ერთის მხრით ორმოც თუმნიანი ქურქში გახვეული გაბლინძული თავილი და მეორეს მხრით ნახევრად შიშველი საცოდავი გლეხი, ან აღბად მე გამფრთხილებია, არ ვაცდებდესო, და ორმოც თუმნიანი ქურქი წამოუხსამს, თუ მართლა არა, სურვილით მაინც.

ამ გაფრთხილებისათვის დიდი მადლობელი ვარ, ხოლო ვთხოვ ჩემს მწე-მქებარე ავტორს: მიმხანდეს, ჩემს ბალკონზე დღეს, ორმოც თუმნიანი კი არა, თუნდ ას თუმნიანი ქურქი წამოიხსას, იქიდან ვახხედ-გამოიხედოს და, თუ ჩემის ბალკონიდან ტყიდან გზად მიმავალს კაცს კი არა, სპილოს დანიანავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი. თუ კაცმა განგებ ჩემს შემოღობილ ეზოზე არ ჩამოიარა, კაცი ჩემის ბალკონიდან კაცს ვერა სასწაულით ვერ დაინახავს. ხოლო ჩემს ეზოზე ჩამოვლა გარეშე კაცს არ შეუძლიან ისე, რომ ჩემმა ძაღლებმა ვეხზე დააყენონ და არ გაწეწ-გაგლიჯონ.

იქნება ჩვენმა გულწრფელმა კაცთ მოუყვარე ავტორმა ეს ძაღლების ყოლაც დამეგოს, — თუ ილია ჭეჭეჭაძე კი კაცია, გლეხისათვის საშიშარი ძაღლები რადა ჰყავსო და. თუ ჰყავს, რატომ ისე არ გაუწურთინა, რომ მართა თავი და აზნაური სწეწონ და ჰგლეჯონ და გლეხს კი მუხლ მოყრით მიეგებებოდნენო. იმიტომ მყავს ამისთანა კაპასი და გაუწურთენელი ძაღლები, რომ მართა ვდგეგვარ მთაში, ტყის პირის სოფელში კარგა მომორებით და, თუ კაპასი, აფთარი ძაღლები არ ვიყოლიე, ნადირისა და ქურდის შიშით მე იქ არ მედგომილება.

მაშასადამე, ჩემი ბალკონზე დგომა, იქიდან ყურება მისი თუ—ჩემი მოურავი როგორ ამტრევის გლეხს ზურგზე კოკებსა, ჩემი გულიანად სიცილი და წაქეზება მოურავისა, — სულ მთლიან, ეს-რა-კი ვიტყვი, უნამუსო ზღაპარია.

არც ეს მაქმარა ამ ყოველ მართებულობაზე, ყოველ ადამიანობაზე ხელ-აღებულობა ავტორმა და აი სადამდე გადაგვიყვანა უწყინდური ფეხი საზიზღარ ბეზღობას. იგი აი რით ათავებს ამ მოჭორვილს ამბავს კოკების მტრევისას.

„უბედური გლეხი, ვიღრე სახლში მივიდოდა, დასველებული გზაში მთლიან გაყინულიყო. მივიდა სახლში, მარა იქაც კერა გაციებული დახვდა უშეშობის გამო. გახდა ხელახლად ავად და ერთს კვირაში გაათავა მრავალ ტანჯული და წამებული სიცოცხლეო“.

აი, ბატონებო, ხომ ჰხედავთ, რა ღმერთი გამოწყობისა კაცი თუ ჩემის ხელით არ მომიკლავს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, კაცის სიკვდილის მიზეზად ხომ ვარ გამოამტვრეველი, საქვეყნოდ სამარცხვინო დალ-დაკრული, საქვეყნოდ სახელ გატეხილი.

ეს გლეხ-კაცის სიკვდილის ამბავი რომ წავიკითხე, სწორედ მოგახსენოთ, თმები ყალყზე ამი-დგა და კანკალი მომივიდა. ზმურობაა კაცის სიკვდილის მიზეზად გახდომა!... თუმცა ვიცოდი, რომ ავტორი ჩემს დასწრებას კოკების მტრევაში სტყუის და მით ცოტათოდ ნუგეში უნდა მეცა ჩემის თავისთვის, რომ დანარჩენი ტყუილი იქნება, მაგრამ რა მფიქრებინებდა, რომ ეს ამ ზამთარს გურამიანთ-კარს გლეხ-კაცის სიკვდილი მინც მართალი არ იქნებოდა.

განა შესაძლოა კაცს ღმერთი იქამდე გაუწყრეს, რომ კაცის სიკვდილი ვისმე დააბრალოს მაშინ, როდესაც თვით სიკვდილი არ მომხდარიყოს სრულიებით. ამიტომაც გულში გამიარა, — ვაი თუ მართლა ჩემს მოურავს ღმერთი გასწყრომია, ეს კოკების მტრევა ჩაუდგინა და ამ მტრევის კაცის სიკვდილი ზედ მოჰყოლია. მოვითხვებ ამის პასუხი, ვისაც ჯერ არს, და იცით, ბატონებო, რა გამოვიდა ჩემი დასახარული და ავტორის სამარცხვინო.

ის გამოვიდა, რომ ავტორის მიერ შეითხინილს ტრაგედის ბოლოც იმისთანა ტყუილი ჰქონია, როგორც დასაწყისი.

თურმე ნუ იტყვი: გურამიანთ-კარს ამ ზამთარს არც ერთი მამ-კაცი გლეხი არ გადო-

ვილიო არამც თუ ჩემის მიზეზით... სხვა მიზეზითაც.

პირველ ხანს ეს საოცარი ამბავი არ დავიჯერებ, კიდევ ვიტყვი: აბა ქეუათა მყოფელი ადამიანი კაცის სიკვდილის მიზეზად როგორ გამოხდა და საქვეყნოდ იქ, რაც არაფერ მომკვდარა. გავგზავნე გურამიანთ-კარს იპაურ მღვდელთან კაცი და, რადგანაც ჩვენში და ერთობ ვაკე საქართველოში ზამთარი და ნამეტნავად ყინვა ქრისტიანობის თვიდან იწყება და არა ადრე, ვკითხე, შარშან ქრისტიანობისთვიდან წლები დიდის აპრილამდე მომკვდარა ვინმე გლეხ-კაცი გურამიანთ-კარს და არა პასუხი მომივიდა წერილით: „შარშან პირველ დეკემბრიდან წლები დიდის აპრილამდე მამ-კაცი გლეხი არაფერი რადაცვლილა“.

ნუ თუ ქვეყანაზე მოიპოვება სხვა მაგალითი, რომ ბეზღობას ამისთანა რამ მოუხდინოს სადმე? ნუ თუ მაგალითი ყოფილა სადმე, რომ კაცის სიკვდილი არსად იყოს, კაცმა ეს სიკვდილი თვით განგებ მოაქოროს და ამ არ ყოფილის სიკვდილის მიზეზად კაცი ვინმე გახადოს.

ნუ თუ იქნება და მთელს ქვეყნიერებაზე სხვა საგანი ბეზღობისა ამაზე უფრო უუსაძაგლესი, ამაზე უფრო შემხრებნი, ამაზე უფრო გულის-სამღვრევი? — ნუ თუ ამისთანა მამულებლის ხელ-შემწყობს ვახვით, თუ უფროსს, პრესა ჰქონდა თვით პრესისის სამარცხვინოდ? თუ ასეა, ნუ თუ სამართალი არ მიგვიძღვის წყველა-კრულით ეს ამისთანა ადამიანის ხელუხლებლობის წამწყვეტილ და ძირს დამკვი პრესა შევაჩვენოთ! ნუ თუ სამართლიანის გულის წყაროთი არ უნდა მიღებულ იყოს თვით პრესისისაგანვე ამისთანა ყოველად უკადრისი საქციელი?

მე ამის მართა იმისათვის კი არ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწვილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელ-შეგებული. ხოლო ეს აქლემი ხელო თქვენ წინა და იორიქებს. ვინ არის თავ მღები, რომ ხელო ამისთანა დღე თქვენს არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თავზედ ხელ-აღებულმა მანჩალოდ იმ ერთ-გვარ გაზეთისამ თუ უფროსისამ, რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრესისისა მჭერად უქცევი, ადამიანობა და ადამიანი ბეზღობის და ცილის წამების საგნად გაუსვლია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მართა თავის სახეიროდ, თვის საფარველად გარდუქმნია.

აფსუს, სამართლიანად თავ-მოწონებული პრესისა, რომ შენი დიდებული სარბილი მყარო გუბედ გაუხლით და, საცა პატრონისი ქეუა და წმინდა გული უნდა ხელმწიფებდეს, ჭია-ლუა ბეზღობისა ჰქეუპილიობს და თავის ბუდეს იყუთებს.

ბეზღობა, ჯაშუშობა სამართლიანად ცნობილია, ვითა ყოველად საზიზღარი საქციელი უტყუარი, უცლობელი მაჩვენებელი მამულებლის და ჯაშუშის გულქუქუიანობისა, სულმდალობისა და ერთობ ზნეობა-დაცემულობისა.

არ ვიცი, — რომელი ბეზღობა და ჯაშუშობა უფრო სადაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯობიანობას გამოიწვევს, თუ იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაჰკიდებს მტრად, ერთს წოდებს მეორეზე ააღურებს და ასისინებს, ან თუნდ ცალკე კაცს, როგორც ამ შემთხვევაში მე ვარ, მთელს გლეხ-კაცობას პირში მისცეს ვითარცა მათ მოძმეთა მყვლეფელს და მათ მოძმეთა მკვლეფელს ყოველად უსაბუთოდ, ყოველდ უმიზეზოდ. დასასრულ, კიდევ ხელმეორედ მოგახსენებთ: არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობიერ კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დავისა და რწმენისაც ვინდ იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ, რაც შენ არ გინდა მოგვიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო.

ილია ჭეჭეჭაძე